



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია**  
**ბრძანება**



\*5000 საქართველო, ჩხოროწყუ,  
 დ. აღმაშენებლის ქ. №1

ტელ: 5(99) 856 577

ელ.ფოსტა: INFO.GAMGEOBA@GMAIL.COM



ბრძანება:ბ110. 110230881

თარიღი:29/03/2023

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -  
 სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის  
 დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 85-ე და 86<sup>1</sup> მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 61-ე მუხლებისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის 24/12/2021 წლის ბ110.110213585 ბრძანებით დამტკიცებული ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. შეიქმნას ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“).
2. დამტკიცდეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა, დანართის თანახმად.
3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ თავისი საქმიანობა წარმართოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის 24/12/2021 წლის ბ110.110213585 ბრძანების შესაბამისად.
4. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 15 დეკემბრის #1443-ს ბრძანება.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის

შესაბამისად გაცნობიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში  
(მის: ქალაქი ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

დათო გოგუა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო  
ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა

1. მანანა სართანია-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი მშვიდობისა და განვითარების აკადემია“ აღმასრულებელი დირექტორი;
2. თენგიზ პერტახია-მცხოვრები მისამართზე: ჩხოროწყუ, ს. ხაბუმე, 50-ე ქ. N 28;
3. მათა გოგუა-მცხოვრები მისამართზე: ჩხოროწყუ, სოფ. ჭოლა, მე-12 VI ჩიხი, N 1;
4. მათა მიქავა-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის“ თავმჯდომარე;
5. ნუგზარ ჟვანია- მცხოვრები მისამართზე: ჩხოროწყუ, სოფ. ხაბუმე, 37-ე ქ. N134;
6. თემურ წურწუმია-შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „საბა-2002“ დირექტორი;
7. თეა თოდუა-მცხოვრები მისამართზე: ჩხოროწყუ, სოფ. მუხური, მე-17 ქ. N 108;
8. ლანა თოლორდავა-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მადვიძარა“ გამგეობის თავმჯდომარე;
9. სალომე ქაჯაია-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩხოროწყუ-სიკეთის ქალაქი“ დირექტორი;
10. შახი სახურია-მცხოვრები მისამართზე: ჩხოროწყუ, სოფ. კირცხი, 28-ე ქ. N 4.